საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 3 „19" 03 2019 წ.

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქათველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 76-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #370 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოებაზე, მათ შორის ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების აღრიცხვაზე, შენახვასა და მოქმედების მზადყოფნაზე პასუხისმგებელ პირებად დაინიშნონ:

- ვლადიმერ რაზმაძე - ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მშ
- ანზორ არბოლიშვილი - კომენდანტი I სასწავლო კორპუსში
- რამაზ პეტაშვილი - კომენდანტი II სასწავლო კორპუსში
- დემურ ხითარიშვილი - კომენდანტი პროფესორ-მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელში (ქ. ახალციხე)
- გია მურმანიშვილი - კომენდანტი III სასწავლო კორპუსში და პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში (ქ. ახალქალაქი)".

2. დამტკიცდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემდეგი დანართები:

დანართი #1 „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობებში სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია"

ქ რუსთაველის ქ. №113. 0800 ახალციხე, საქართველო
113, Rustaveli st., 0800 Akhaltsikhe, Georgia
ტელეფონი: 5(99) 063 366, 5(77) 050 640 Tel.
ფაქსი: +995 365 22 19 90 Fax
ელ-ფოსტა: rector@sjuni.edu.ge E-mail

დანართი #2 „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობებში საევუაკუაციო გეგმები“

დანართი #3 „ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისთვის სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების მოქმედებების ინსტრუქცია“

დანართი #4 „სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების (ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის უფროსი და კორპუსების კომენდანტები) კომპეტენცია“

დანართი #5 „ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი“

დანართი #6 „ცეცხლმაქრების რაოდენობის და მდგომარეობის აღრიცხვის ჟურნალი“

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

5. დაევალოს კანცელარიას უზრუნველყოს ბრძანების გადაგზავნა ყველა სამსახურებისთვის და ოფიციალური წესით გაცნობა ბრძანებით განსაზღვრული პირებისთვის.

6.დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებას ბრძანების განთავსება ვებ-გვერდზე.

7 .ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. ახალციხის რაიონულ სასამართლოში მისამართზე: ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. #62

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი როინ თათეშვილი